ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაცია

კონტექსტი და რისკები

ავტორები: ეკატერინე მუზაშვილი, ნატო რუბანოვა

სარჩევი

შესავალი..... 3

ისტორია 3

არსებული პრაქტიკა 5

ადამიანით ვაჭრობა საერთაშორისო
სამართალში 6

ევროკავშირის
რეგულაციები 8

დასკვნა 11

შესავალი

სუროგაცია გულისხმობს პროცესს, როდესაც ქალი (ე.წ სუროგატი დედა) ინ-ვიტრო განაყოფიერების გზით აჩენს ბავშვს მიმღები მშობლებისთვის. სუროგაციის ეს სახე ალტრუისტულია. თუ სუროგაცია ქალისთვის ანაზღაურებადია, იგი კომერციულია. ხოლო თუ კომერციული სუროგაციის შეთანხმებაში რამდენიმე ქვეყანაა ჩართული (მაგალითად, სუროგატი დედის და მიმღები მშობლების ქვეყანა სხვადასხვაა, ან სუროგატი დედის და მიმღები მშობლების ქვეყნების გარდა, სუროგაციის პროცესი კიდე სხვა - მესამე ქვეყანაში მიმდინარეობს), ამ შემთხვევაში კომერციული სუროგაცია ტრანსნაციონალურია.

ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაციის შეთანხმებები სიახლეა მსოფლიო რეალობაში და მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, შესაბამისად, ამ მიმართულებით როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის მხრივ საერთაშორისო გამოცდილება მწირია, კვლევები კი უმეტესად ზოგადად სუროგაციის მორალურ მხარეს ეხება. ბოლო წლებში მსჯელობის საგნად იქცა ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაციის შესაძლო კავშირი ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთან, რაც, ასევე, განხილული იქნება წინამდებარე ნაშრომში. თემა აქტუალურია საქართველოშიც, რადგან არა ერთ გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეში საქართველოში მოქმედი იურიდიული პირები ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაციის შეთანხმების მონაწილეები არიან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილების გააზრება იმ საქმეების სწორად წარმოებისთვის, რომელიც ქართულ სამართლებრივ სისტემაში უკვე მრავლადაა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაციის კონტექსტის, საერთაშორისო ჩარჩო კანონმდებლობის და არსებული გამოცდილების მიმოხილვა.

ისტორია

უშუალოდ ევროპულ კანონმდებლობაში[1] სუროგაციაზე და, მათ შორის, კომერციულ სუროგაციაზე დებატები პირველად 1985 წელს იწყება, როდესაც დიდ ბრიტანეთში მიიღეს კანონი „აქტი სუროგაციის შეთანხმებებზე, 1985"[2] და აიკრძალა კომერციული სუროგაცია. ამას მოყვა 1991 წელს გერმანიაში მიღებული "ემბრიონის დაცვის აქტი"[3] რომლითაც აიკრძალა სუროგაცია და კვერცხუჯრედის დონაცია, 1994 წელს საფრანგეთში მიიღეს "ბიოეთიკის კანონი[4] - აიკრძალა სუროგაციის ყველა ფორმა, 2004 წლიდან სუროგაციის ყველა ფორმა აკრძალულია იტალიაშიც. საქართველოს 1997 წლის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონის მიხედვით, სუროგაცია დაშვებულია, მისი რომელიმე ფორმის შეზღუდვის გარეშე. [5]

---

[1] სუროგაციასთან დაკავშირებული რეგულაციები იხილეთ: დანართი #1, „სუროგაციის შესახებ რეგულაციები ქვეყნების მიხედვით"

[2] "Surrogacy Arrangements Act," ხელმისაწვდომია: https://www.legislation.gov.uk/ukpga/1985/49

[3] "Embryonenschutzgesetz" ხელმისაწვდომია: https://academic.oup.com/humrep/article-abstract/6/4/605/639936?redirectedFrom=PDF

[4] "Loi de Bioéthique" ხელმისაწვდომია: https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC7653006/

[5] სუროგაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ რეგულაციებს შეიცავს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანება №18

2014 წლიდან ყალიბდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში, ევროპული სასამართლო) პრაქტიკა ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაციის საქმეებთან დაკავშირებით, თუმცა ეს საქმეები ძირითადად უკავშირდება სუროგაციის გზით საზღვარგარეთ დაბადებული ბავშვის მიმღები მშობლების შვილად აღიარების ფორმალურ მხარეს მიმღებ ქვეყანაში, სადაც სასამართლო ადგენს, რომ მიუხედავად მიმღებ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის დამოკიდებულებისა კომერციული სუროგაციის შესახებ, ბავშვის საუკეთესო ინტერესია, რომ იგი მიმღები მშობლების შვილად დარეგისტრირდეს საერთო წესით.[6]

მაგალითად, საქმეებში *Mennesson v. France* და *Labasseev v. France* ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მიმღები მშობლების შვილად რეგისტრაციაზე უარი, ე.ი ოჯახის იურიდიული კავშირის არაღიარება ჩარევა იყო ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. ამიტომ, სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, შეესაბამებოდა თუ არა საფრანგეთის ქმედება სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის (შემდგომში, ევროპული კონვენცია) მე-8 მუხლის ფარგლებში (*Mennesson*, პარ. 48-49; *Labassee*, პარ. 49). ეს უარყოფა მიზნად ისახავდა ჯანმრთელობის დაცვისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს, რაც განპირობებული იყო საფრანგეთის სურვილით, შეეზღუდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაფორმებული შეთანხმებები სუროგაციაზე, რომელიც ფრანგული კანონმდებლობით აკრძალულია და, საფრანგეთის ხელისუფლების აზრით, მიზნად ისახავდა როგორც ბავშვების, ისე სუროგატი ქალების დაცვას (*Mennesson*, პარ. 62; *Labassee*, პარ. 54).

ერთი მხრივ, საფრანგეთს ჰქონდა ფართო შეფასების დისკრეცია, რადგან სუროგაციასთან დაკავშირებულ საკითხებში ევროპული კონსენსუსი არ არსებობს და საქმე ეხება რთულ ეთიკურ დილემებს. თუმცა, მეორე მხრივ, ეს დისკრეცია იყო შეზღუდული, რადგან საქმე ეხებოდა მშობლობას, რაც ინდივიდის იდენტობისა და არსებობის საფუძველია (*Mennesson*, პარ. 77-80; *Labassee*, პარ. 56-59).

რაც შეეხება ბავშვების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. ბავშვები აღმოჩნდნენ იურიდიული გაურკვევლობის წინაშე, ვინაიდან საფრანგეთის სამართლებრივი წესრიგი არ აღიარებდა მათ და მათ მიმღებ მშობლებს შორის ფაქტობრივ კავშირს. ამ წინააღმდეგობამ სოციალურ და იურიდიულ რეალობას შორის დააზიანა ბავშვების იდენტობა ფრანგულ საზოგადოებაში, ვინაიდან, ბუნდოვანი იყო ისიც, მიიღებდნენ თუ არა ბავშვები საფრანგეთის მოქალაქეობას (*Mennesson*, პარ. 96-97; *Labassee*, პარ. 75-76). გარდა ამისა, არაღიარებას მოჰყვა ნეგატიური გავლენა ბავშვების სამემკვიდრეო უფლებებზეც. შედეგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ბიოლოგიური რეალობის იურიდიული აღიარების წართმევა — კერძოდ, ის, რომ მიმღები მშობლები იყვნენ ბავშვების ბიოლოგიური მშობლები — ეწინააღმდეგებოდა ბავშვთა ინტერესებს (*Mennesson*, პარ. 99; *Labassee*, პარ. 78). ბავშვების

[6]Mennesson v. France and Labasseev v. France, 26th June 2014; Paradisoand Campanelli v. Italy, 24th January 2017; C and E v. France (nos.1462/18 and 17348/18),19th November 2019; Valdís Fjölnisdóttir and Others v. Iceland, 18th May 2021; A.L. v. France(no. 13344/20), 7th April 2022; K.K. and Others v. Denmark (no. 25212/21), 6th December 2022; C v. Italy (no. 47196/21), 31st August 2023.

იდენტობასა და პირად ცხოვრებაზე ზემოქმედების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ საფრანგეთმა გადააჭარბა იმ ფართო შეფასების დისკრეციას, რომელიც სახელმწიფოს ეძლევა სუროგაციასთან დაკავშირებულ საკითხებში (*Mennesson*, პარ. 100; *Labassee*, პარ. 79)[7]

შესაბამისად, ნათელია, რომ სუროგაციასთან დაკავშირებული დავები განხილულია ამ გზით დაბადებული ბავშვისა და მისი მიმღები მშობლების სამართლებრივი მდგომარეობის ირგვლივ, რაც არც ცალკეულად ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვისთვის[8] ქმნის უსაფრთხო სამართლებრივ სივრცეს და არც იმ ქალისთვის, რომელიც შეთანხმებაში სუროგატ დედად მონაწილეობს.

ფაქტობრივად, ბოლო წლებამდე, საერთაშორისო საზოგადოებას არ უმსჯელია ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაციის სხვა რისკების და გამოწვევების შესახებ, რომელიც არა ბავშვის ან მიმღები მშობლების, არამედ სუროგატის ქალების წინაშე დგას და რომელზეც საერთაშორისო სამართალში სპეციალური რეგულაციები შემუშავდებოდა. თუმცა, ამ მხრივ საინტერესოა ინდივიდუალურად, კონკრეტული სახელმწიფოების პრაქტიკა, რომლებმაც თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ცალკეული შემთხვევები უკვე შეაფასეს როგორც ადამიანით ვაჭრობა.

არსებული პრაქტიკა

ბოლოდროინდელ კვლევებში საუბარია, რომ 2024 წლიდან 2034 წლამდე შუალედში კომერციული სუროგაციის გლობალური ინდუსტრია $21.85 მილიარდიდან $196 მილიარდამდე გაიზრდება.[9] ამავდროულად, საერთაშორისო საზოგადოებისთვის ცნობილია ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაციის რამდენიმე გახმაურებული საქმე და არა ერთი დაზარალებული ქალი, რომელზე გამოძიებაც ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის მუხლით მიმდინარეობს.

ერთ-ერთი ასეთი საქმეა საქართველოში 2025 წელს გამოვლენილი კვერცხუჯრედის დონაციის იძულების საქმე.[10] კერძოდ, საქმე ეხება ტაილანდელი ქალების ჩამოყვანას საქართველოში, კომერციულ სუროგაციაში ჩართვის დაპირებით შეთანხმებული პირობებით, თუმცა ამის ნაცვლად ჩამოსულ ქალებს ჩამოართვეს პასპორტები და აიძულებდნენ კვერცხუჯრედის დონორები და სამედიცინო მანიპულაციების მსხვერპლი გამხდარიყვნენ.

---

[7] Liesbet Pluym, "Mennesson v. France and Labassee v. France: Surrogate Motherhood Across Borders," 2014, ხელმისაწვდომია: https://strasbourgobservers.com/2014/07/16/mennesson-v-france-and-labassee-v-france-surrogate-motherhood-across-borders/

[8] იხ. გაეროს სპეციალური მომხსენებლის კომენტარი, 2018, ხელმისაწვდომი: https://www.bbc.com/news/articles/c8rjdj336xpo?

[9] ხელმისაწვდომია: https://www.precedenceresearch.com/surrogacy-market

[10] Reuters: Georgia, Thailand probing human egg trafficking ring: https://www.reuters.com/world/georgia-thailand-probing-human-egg-trafficking-ring-2025-02-07/?

გახმაურებული იყო 2024 წელს არგენტინელი სუროგატი დედების საქმეც[11] - არგენტინის პროკურატურამ შეძლო ტრანსნაციონალურ კომერციულ სუროგაციასთან დაკავშირებული ადამიანით ვაჭრობის სქემის გამოვლენა. გამოძიების ფარგლებში გამოიკვლია სუროგაციის 6 სააგენტოს, 7 სანოტარო ბიუროს და 3 საადვოკატო ოფისის ფინანსური თუ სხვა დოკუმენტაცია. საქმე ეხებოდა ეკონომიკურად მოწყვლადი ქალების ჩართვას ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაციის შეთანხმებებში. შეთანხმების მიხედვით ქალს უნდა მიეღო $10,000, ხოლო ბავშვი სააგენტოს უცხოეულ კლიენტებზე უნდა გაშვილებულიყო. ორსულობის ბუნებრივი შეწყვეტის, ან ნებისმიერი სამედიცინო გართულების შემთხვევაში, ქალები კარგავდნენ ყოველგვარ ანაზღაურებას. სააგენტოს უცხოელი კლიენტები ამ შეთანხმებაში $50,000-ად მონაწილეობდნენ. გამოძიება დაიწყო ადამიანით ვაჭრობისა და ბავშვებით ვაჭრობის მუხლებით. გამოძიება დაიწყო უფრო ადრეულ შემთხვევებზეც, რის შედეგადაც 2018 წლიდან ამ დრომდე გამოვლინდა 49 ასეთი საქმე.

უფლებადამცველების კრიტიკის საგანი გახდა საქმის სამართლებრივი გადაწყვეტა კამბოჯაში 2024 წელს, სადაც ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაციის შეთანხმებაში ჩართული 13 ფილიპინელი ორსული ქალი (სუროგატი დედა) გაასამართლეს ტრეფიკინგის ბრალდებით,[12] თუმცა, ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა და ანალოგიური წესით 2018 წელს 32 ქალი გაასამართლეს.[13] შეთანხმება გულისხმობდა კონკრეტული სააგენტოს მიერ ფილიპინელი ქალების სუროგაციის ექსპლუატაციას კამბოჯაში, შესაბამისად კრიტიკა გამოიწვია ფაქტმა, რომ დამნაშავის სტატუსი მიიღეს ქალებმა, რომლებიც, ამავე დანაშაულის ერთ-ერთი მსხვერპლი არიან.[14]

საერთაშორისო შეშფოთება არა ერთხელ გამოუწვევია ტრანსნსაციონალური კომერციული სუროგაციის ინდუსტრიის განვითარებას და მის მასშტაბებს უკრაინაში.[15]

ადამიანით ვაჭრობა საერთაშორისო სამართალში

თუკი საერთაშორისო კომერციულ სუროგაციას ადამიანით ვაჭრობის აკრძალვის ჭრილში განვიხილავთ, ნათელი გახდება, რომ სუროგაცია ამ კუთხით მნიშვნელოვან რისკებთან არის დაკავშირებული.[16] საერთაშორისო სამართალში ადამიანით ვაჭრობა განმარტებულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმით „ადამიანით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ (ე.წ. პალერმოს ოქმი - Palermo Protocol).[17]

---

[11] The Guardian: Surrogacy ring accused of exploiting vulnerable women in Argentina: https://www.theguardian.com/world/2024/oct/22/surrogacy-ring-argentina

[12] https://www.bbc.com/news/articles/c8rjdj336xpo?

[13] N Hyder-Rahman, 'Commercial Gestational Surrogacy: Unravelling the threads between reproductive tourism and child trafficking', Anti-Trafficking Review, issue 16, 2021, pp. 123-143, https://doi.org/10.14197/atr.201221168

[1] იქვე.

[15] Emma Lamberton, "Lessons from Ukraine: Shifting International Surrogacy Policy to Protect Women and Children", 2020, https://jpia.princeton.edu/news/lessons-ukraine-shifting-international-surrogacy-policy-protect-women-and-children

[16]Lois McLatchie Jennifer Lea, Surrogacy, Law & Human Rights, 2022, chapter 1.C. Surrogacy as a Form of Reproductive Prostitution and Exploitation, pp. 9-20.

[17] ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/protocol-prevent-suppress-and-punish-trafficking-persons

ოქმით შემოთავაზებული განმარტებით:

> ადამიანებით ვაჭრობა ნიშნავს ადამიანების გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის მოწყვლადობის ბოროტად გამოყენებით, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას.[18]

ზემოთ შემოთავაზებულ დეფინიციის მიხედვით ადამიანით ვაჭრობის დანაშაული სამ ელემენტს მოიცავს:

1) ქმედება: ადამიანების გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება.
2) საშუალება: მუქარის, ძალის გამოყენება ან იძულების სხვა საშუალებების გამოყენება, მოტაცება, თაღლითობა, მოტყუება, ძალაუფლების ან პირის მოწყვლადობის ბოროტად გამოყენება, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემა ან მიღება, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით.
3) მიზანი: ექსპლუატაცია, მათ შორის, იძულებითი შრომა ან მომსახურება, მონობა ან მონობის მსგავსი პრაქტიკა.

ადამიანით ვაჭრობას ანალოგიურად განმარტავს ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია „ადამიანის ვაჭრობის წინააღმდეგ მოქმედების შესახებ.“[19]

ადამიანით ვაჭრობასა და კომერციულ სუროგაციას შორის შესამჩნევია გარკვეული პარალელები:

1. კერძო სააგენტოების რეკლამები და ვებ გვერდები, რომლებიც ქალებს სთავაზობენ დიდ თანხებს კვერცხუჯრედის დონაციისთვის ან კომერციული სუროგაციის შეთანხმების ფარგლებში, (რომელიც, არა ერთ შემთხვევაში, არ შეესაბამება რეალურ თანხებს და პირობებს), **პირდაპირი გადაბირების ან მოტყუების მეთოდს წარმოადგენს.** უკვე არსებული საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ აღნიშნული ემსახურება იმ ქალების მოზიდვას, რომლებიც ეკონომიკურად უფრო მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან და, უმეტესად, განვითარებად ქვეყნებში ცხოვრებენ. გარდა ამისა, ტრანსნაციონალური სუროგაციის შეთანხმების ფარგლებში ქალები უმეტესად ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაჰყავთ, რათა გვერდი აუარონ ეროვნულ კანონმდებლობას, თუ ის კრძალავს სუროგაციას, რითაც

[18] United Nations Convention against Transnational Organized Crime ‘Protocol to Prevent Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children’ (15 November 2000) 2237 UNTS 319 (Palermo Protocol) art. 3(a).
[19] Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings

სუროგაციის შეთანხმებაში ჩართულ ქალებს უფრო მოწყვლად მდგომარეობაში აყენებენ.[20]

2. იძულება, თაღლითობა აშკარად ჩანს სხვადასხვა კვლევების ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებში. ბევრი ქალი ამბობს, რომ სრულად ინფორმირებული არ ყოფილა არც კვერცხუჯრედის დონაციის და არც სუროგაციის შეთანხმებისგან წარმოშობილი რისკების შესახებ. აზიის ქვეყნებში ცნობილია შემთხვევები, როდესაც კონტრაქტები სუროგატ დედებს მათთვის გაუგებარ ენაზე მიეწოდათ. [21]

3. ტერმინი „ექსპლუატაცია“, პალერმოს ოქმის[22] მიხედვით, მოიცავს როგორც მინიმუმ, სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას. ამ შემთხვევების საერთო მახასიათებელია ძალაუფლებრივი დინამიკა ორ ან მეტ მხარეს შორის, რაც ერთი ადამიანის ღირსებას ხელყოფს მეორის სასარგებლოდ.

ტრანსნაციონალური სუროგაციის შემთხვევები იშვიათად შეიძლება არ ჩაითვალოს აშკარა ექსპლუატაციურად. კომერციული სუროგაციის ტრანსნაციონალური ბაზარი გლობალური ეკონომიკური უთანასწორობის საფუძველზე ფუნქციონირებს, განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები ეკონომიკურად მოწყვლადი სუროგატი ქალების გამოყენებით.[23]

“ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” გაეროს კონვენციის მე-6 მუხლი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის, საკანონმდებლო, ქალებით ვაჭრობისა და სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმის აღსაკვეთად. უფრო მეტიც, მოსახლეობისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის (ICPD)[24] პროგრამის შესაბამისად, სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, „გადადგან სრულფასოვანი ნაბიჯები ქალთა, მოზარდთა და ბავშვთა ექსპლუატაციის, ძალადობის, შევიწროებისა და დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად.“ ეს ვალდებულება სცილდება მხოლოდ ტრეფიკინგის აკრძალვას და ასევე მოიცავს „დამამცირებელ პრაქტიკების“ აღმოფხვრას, მათ შორის, პროსტიტუციის მიზნით სექსუალური ექსპლუატაციის აღმოფხვრას, რაც, სამართლებრივი ანალოგიის საფუძველზე, სუროგაციის ექსპლუატაციასაც შეესაბამება.

ევროკავშირის რეგულაციები

როგორც უკვე აღინიშნა, ტრანსნაციონალური სუროგაციის შეთანხმებები, სადაც ქალი თანხმდება ბავშვის ტარებაზე და მისი მშობიარობის შემდეგ სხვა მხარისთვის გადაცემაზე,

[20] Lois McLatchie Jennifer Lea, Surrogacy, Law & Human Rights, 2022, chapter 1.C. Surrogacy as a Form of Reproductive Prostitution and Exploitation, pp. 9-20

[21] იქვე.

[22] ხელმისაწვდომია https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/protocol-prevent-suppress-and-punish-trafficking-persons

[23] Lois McLatchie Jennifer Lea, Surrogacy, Law & Human Rights, 2022, chapter 1.C. Surrogacy as a Form of Reproductive Prostitution and Exploitation, pp. 9-20

[24] International Conference on Population and Development, Cairo, 1994.

ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება დაკავშირებული იყოს ადამიანებით ვაჭრობის დანაშაულთან, როგორც ქალის, ასევე ბავშვის შემთხვევაში.

ტრანსნაციონალური კომერციული სუროგაციის შეთანხმებების უკან, როგორც წესი, კერძო სააგენტოები დგანან, რომელთა საქმიანობასაც ამარტივებს ერთი კონკრეტული მიდგომის არ არსებობა სუროგაციის საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც ქვეყნების უმრავლესობა თანხმდება, მათ შორის, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სუროგაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ჰარმონიზებული არ არის. ქვეყნების მიხედვით, სუროგაცია ან ნებადართულია, ან აკრძალული, ან საერთოდ არ რეგულირდება. ევროკავშირის შემთხვევაში, განახლებული დირექტივა „ტრეფიკინგის პრევენციის, ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლისა და მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ (შემდგომში, დირექტივა)[25] ამ მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენს, რადგან სუროგაციის ექსპლუატაცია ახლა უკვე მკაფიოდ არის განსაზღვრული, როგორც ადამიანებით ვაჭრობის ფორმა.

დირექტივის თანახმად, სუროგაციის, იძულებითი ქორწინების ან უკანონოდ შვილად აყვანის ექსპლუატაცია განიხილება ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული დანაშაულების ფარგლებში, როგორც ეს განსაზღვრულია **დირექტივაში**, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დანაშაულის ყველა კრიტერიუმი შესრულებულია. ეს გულისხმობს, რომ თუ მანამდე ტრეფიკინგის დანაშაული გულისხმობდა მსხვერპლის შრომით ან სექსუალური ექსპლუატაციის მიზანს, ახალი დირექტივის თანახმად, ტრეფიკინგის დანაშაულად კვალიფიცირდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადამიანით ვაჭრობის მიზანი სუროგაციის, იძულებითი ქორწინების ან უკანონო შვილად აყვანის ექსპლუატაციაა, თუკი კონკრეტული ასეთი დანაშაული მოიცავს ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის მახასიათებელ სხვა ნიშნებს, მათ შორის, იძულების კრიტერიუმს. **სუროგაციის ექსპლუატაციით გამოხატული ადამიანით ვაჭრობის შემთხვევაში**, აღნიშნული დირექტივა მიზნად ისახავს **იმ პირთა წინააღმდეგ მოქმედებას, რომლებიც ქალებს აიძულებენ ან ატყუებენ, რომ გახდნენ სუროგატი დედები**.

დირექტივის მე-2 მუხლის თანახმად, ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომის ან მომსახურების, მათ შორის, მათხოვრობის, მონობის ან მონობის მსგავსი მდგომარეობის, მონური შრომის ან დანაშაულებრივი საქმიანობის ექსპლუატაციას, ორგანოთა ამოღების, სუროგაციის, იძულებითი ქორწინების ან უკანონოდ შვილად აყვანის ექსპლუატაციას.

ევროჯასტმა (European Union Agency for Criminal Justice Cooperation - Eurojust) თავის საქმეებზე დაყრდნობით გამოყო ძირითადი ტენდენციები, რომელიც ტრანსნაციონალური სუროგაციის შეთანხმებებში ხშირად იკვეთება და, შესაძლოა ასახავდეს ადამიანით ვაჭრობა და ბავშვთა გაყიდვა[26]:

---

[25] Directive (EU) 2024/1712 of the European Parliament and of the Counsil of 13 June 2024 amending Directive 2011/36/EU on preventing and combating trafficking in human beings and protecting its victims.

[26] აღნიშნულის თაობაზე ვრცლად იხილეთ „Surrogacy and Human Trafficking,“ Eurojust, ხელმისაწვდომია https://www.eurojust.europa.eu/sites/default/files/assets/files/surrogacy-leaflet-27-08-2024-v6.pdf

- რეპროდუქციული კლინიკები ჩართულნი არიან სუროგაციის უკანონო შეთანხმებებში, რითაც ტრანსნაციონალურ დანაშაულებში მონაწილეობენ.
- ქალების ხელოვნური განაყოფიერება ხდება ერთ ქვეყანაში, ხოლო მშობიარობისთვის გადაჰყავთ სხვა, უცხო ქვეყანაში, რაც კიდევ უფრო მოწყვლად მდგომარეობაში აყენებს ქალებს.
- მომავალი მშობლები სხვადასხვა ქვეყნებიდან, შუამავალ ე.წ სააგენტოებს დიდ თანხას უხდიან მათ მიერ გაწეული მომსახურებისთვის.
- არის შემთხვევები, როდესაც შუამავალი ე.წ სააგენტოები სუროგატ დედას და გენეტიკურ მამას წარმოაჩენენ ცოლ-ქმრად, რათა ეროვნული ხელისუფლება შეიყვანონ შეცდომაში.
- ზოგიერთ შემთხვევაში, სუროგაციის კონტრაქტები გაფორმებულია ფიქტიურ კომპანიებთან, ხოლო სანაცვლოდ გადახდილი თანხა უცხოურ საბანკო ანგარიშებზე ირიცხება, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს ეკუთვნით.

მიზეზები, რის გამოც შეიძლება კომერციული სუროგაცია ადამიანებით ვაჭრობის ნაწილი გახდეს, შემდეგია:[27]

- საერთაშორისო სამართალში ჩარჩო ნორმების ნაკლებობა, რომელიც ტრანსნაციონალური სუროგაციის შეთანხმებებს დაარეგულირებდა.

- ქვეყნებს შორის, მათ შორის, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის სუროგაციასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობების ერთმანეთთან შეუსაბამობა (ე.ი ფაქტი, რომ სუროგაცია ზოგიერთ ქვეყანაში ნებადართულია, ზოგგან აკრძალულია, ხოლო ზოგგან საერთოდ არ რეგულირდება).

- განვითარებად ქვეყნებში კომერციულ სუროგაციასთან დაკავშირებული შეუზღუდავი რეგულაციები, რომელიც ამ ქვეყნების იურისდიქციაში შესაძლებელს ხდის ტრანსნაციონალურ კომერციულ სუროგაციაზე შეთანხმებას და ე.წ „რეპროდუქციულ ტურიზმს.“

ქვეყნებს შორის კანონმდებლობებში განსხვავებული მიდგომები **სირთულეებს აჩენს სასამართლო თანამშრომლობასა და ტრანსნაციონალურ სუროგაციასთან დაკავშირებული დანაშაულების სისხლისსამართლებრივ დევნაში**: განსაკუთრებით რთულია ქმედების სისხლის**სამართლებრივი კვალიფიკაცია იმ პირობებში, როდესაც იურისდიქციის მქონე ორი ქვეყანა ერთი და იმავე ქმედების მართლზომიერებას სხვადასხვანაირად აფასებს**, ამ მხრივ მნიშვნელოვანია **ორმაგი ბრალის (non bis in idem) წარმოშობის საკითხიც - ერთი ქმედებისთვის ორი სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა.**

დირექტივამ ამ სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესი მოიტანა – სუროგაციის ექსპლუატაცია ახლა უკვე **მკაფიოდ არის აღიარებული, როგორც ადამიანით ვაჭრობის ფორმა**.

[27] "Surrogacy and Human Trafficking," Eurojust, ხელმისაწვდომია https://www.eurojust.europa.eu/sites/default/files/assets/files/surrogacy-leaflet-27-08-2024-v6.pdf

აღნიშნული დირექტივით ჩამოყალიბდა გარკვეული საკანონმდებლო ჩარჩო ევროკავშირის ქვეყნებისთვის, რომელმაც ერთმანეთისგან გამიჯნა სუროგაციის ფორმები და აღნიშნა, რომ ზოგიერთი მათგანი შესაძლოა ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგად) ჩაითვალოს. ასეთია შემთხვევები, როდესაც სუროგაციის შეთანხმების ფარგლებში ქალის მიერ გაცემული თანხმობა არ ყოფილა თავისუფალი და ნამდვილი და „შეთანხმების“ მისაღწევად გამოყენებული იყო შემდეგი ხერხები:

- იძულება (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ქალზე ზეწოლა და მუქარა)
- მოტყუება (არასწორი ინფორმაციის მიწოდება სუროგაციის შეთანხმების, რისკების ან შედეგების შესახებ)
- მოწყვლადობის გამოყენება (იმ ქალების ჩართვა სუროგაციის შეთანხმებებში, რომლებიც ეკონომიკური მდგომარეობის გამო არიან განსაკუთრებით მოწყვლადები).

დირექტივა არ ეხება ნებაყოფლობით სუროგაციას, რომელიც არის ალტრუისტული, მოხალისეობრივი ან თუნდაც გარკვეულწილად კომპენსირებული, ხოლო სუროგაციის შეთანხმების ყველა მხარე არის სათანადოდ ინფორმირებული, დაცული და შესაბამისი ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ სუროგაციის ექსპლუატაცია ფართოდ არის გავრცელებული და ამას ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს. საერთაშორისო სამართლის და მიდგომების სიმწირე, ასევე ქვეყნების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი გამოწვევებს წარმოშობს სუროგაციასთან დაკავშირებული ადამიანით ვაჭრობის შემთხვევების გამოვლენასა და შეფასებისას. ამ გამოწვევების საპასუხოდ, პირველ რიგში, საკითხის სიღრმისეული კვლევაა საჭირო, რომელიც ორიენტირებული იქნება კომერციულ-ტრანსნაციონალურ სუროგაციაში ჩართული ქალების მდგომარეობის და საჭიროებების შესწავლაზე. რაც, საკითხისადმი ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და მნიშვნელოვანი იქნება ანალოგიური შემთხვევების გამოსავლენად და სამომავლო პრევენციისთვის.

ტრანსნაციონალური სუროგაციის კონტექსტში მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ევროკავშირის 2024 წლის დირექტივა, რომელიც კომერციული სუროგაციის გარკვეულ ფორმებს ადამიანის ვაჭრობად აფასებს, რაც წევრი და კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნებისთვის უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საგამოძიებო ორგანოებამდე მისული თითოეული საქმე, რომელიც კომერციულ, მით უფრო, ტრანსნაციონალურ სუროგაციას უკავშირება, უფრო ფართო კონტექსტში დაინახონ, საფუძვლიანად გამოიკვლიონ და შეაფასონ, ვიდრე ეს უბრალოდ გარკვეული სამოქალაქო შეთანხმებიდან გადახვევაა.

დანართი #1: სუროგაციის შესახებ რეგულაციები ქვეყნების მიხედვით28

ამერიკა



[٢٨] დანართი შედგენილია „Commercial Surrogacy: An Overview“ (Gestação de substituição comercial: Uma visão global), 2022წ, მასალის გამოყენებით. ავტორები: Pedro Brandão, Department of Reproductive Medicine, Instituto Valenciano de Infertilidad, Valencia, Spain და Nicolás Garrido, University of Valencia, Valencia, Spain / IVI Foundation, Valencia, Spain.
DOI https://doi.org/10.1055/s-0042-1759774
ISSN 0100-7203.

ევროპა


კომერციული სუროგაცია დაშვებულია
მხოლოდ ალტრუისტული სუროგაციაა დაშვებული
სუროგაცია აკრძალულია
არ არის რეგულირებული / არასაკმარისი მონაცემია
საერთოდ არ არის მონაცემი

აზია


კომერციული სუროგაცია დაშვებულია
მხოლოდ ალტრუისტული სუროგაციაა დაშვებული
სუროგაცია აკრძალულია
არ არის რეგულირებული / არასაკმარისი მონაცემია
საერთოდ არ არის მონაცემი

აფრიკა


მხოლოდ ალტრუისტული სუროგაციაა დაშვებული
არ არის რეგულირებული / არასაკმარისი მონაცემია
საერთოდ არ არის მონაცემი

ავსტრალია